ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - არშალუის მანუკიან

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი (30.10.2025 წლიდან)

ფრაქციის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - წევრი

კომისი(ებ)ის დასახელება

- **საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია**
- **საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია**

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - 37/09 პამაჯის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის 30.10 -დან 2026 წლის 15.10-მდე

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

30.10.2025 წ.-დან 15.10.2026 წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - **17**

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - **17**

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2025-2026 წწ.

- **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა - **8**, ესწრებოდა - **8** სხდომას;
- **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა - **3**, ესწრებოდა - **3** სხდომას.

3. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ (განკარგულება #13.13260863);

2) „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

3) ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ (დადგენილება #5);

4) „ახალციხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობით უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება #8);

5) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვის, საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცებისა და სარგებლობის უფლებით (იჯარა/უსასყიდლო) გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების შესახებ;

6) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების (სტიქიის ფონდი, მთის ფონდი) დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე;

7) „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №43 დადგენილება.

4. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 6 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 250, მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტები და პროექტები;

2) გარე განათების ქსელის მოწყობის, გაფართოებისა და ექსპლუატაციის საკითხები;

3) სოფლების (დიდი პამაჯი, პატარა პამაჯი, ორალი, ყულალისი) შიდა საუბნო გზების მოხრეშვისა და რეაბილიტაციის საკითხები;

4) სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგების საკითხები;

5) სოფლებში არსებული საბავშვო მოედნების, ატრაქციონების მიმდებარედ დამცავი ღობეებისა და სკვერების მოწყობის საკითხები;

6) ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ყოფითი საჭიროებების განხილვა და შესაბამისი დახმარების გაწევა.

5. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

პრობლემური საკითხები მიეწოდა საკრებულოს და მერიას, არსებული პრობლემები, რომლებიც შედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში, დეპუტატის შუამდგომლობით მიწოდებულია მერიაში და ნაწილობრივ განხორციელდა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა, თემატურ ტრენინგებზე და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

შევსების თარიღი - 15.10.2026წ.

წარდგენის თარიღი - 30.10.2026

ხელის მოწერა - .....